საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/51

ქ.თბილისი

„26" ოქტომბერი 2017 წ.

„ინტერნეტის მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 29 მაისის N6/25 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ინტერნეტის მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 29 მაისის N6/25 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ინტერნეტის ხარისხის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების და შემდგომ მისი განხორციელების მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქეთევან რეხვიაშვილი - ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი (ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) მიხეილ ჯღამაძე - სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;

გ) დავით ქუთათელაძე - სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის ინფრასტრუქტურისა და ქსელების მთავარი სპეციალისტი;

დ) ეკატერინე ჭახრაკია - სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

ე) მარიამ სულაბერიძე - საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის პროექტების მართვის მთავარი სპეციალისტი;

ვ) აკაკი სურგულაძე - ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;

ზ) თამთა ტეფნაძე - მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი."

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

4. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციის უფროსს (ი.ხარებავა) კონტროლი ბრძანების შესრულებაზე.

კომისიის თავმჯდომარე კახი ბექაური